

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №59
2014 წლის 16 ოქტომბერი

ქ. ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატსა და მერიაში სტაჟირების გავლის წესის და სტაჟირების გავლის დამადასტურებელი მოწმობის – სერტიფიკატის ფორმის დამტკიცების შესახებ

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 აპრილის დადგენილება №33 - ვებგვერდი, 16.04.2018 წ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, ამავე ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №410 დადგენილების შესაბამისად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სტაჟირების გავლის წესი დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დამტკიცდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სტაჟირების გავლის დამადასტურებელი მოწმობის – სერტიფიკატის ფორმა დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გოდერძი ბარბაქაძე

დანართი №1

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატსა და მერიაში სტაჟირების გავლის წესი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 აპრილის დადგენილება №33 - ვებგვერდი, 16.04.2018 წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- ეს წესი განსაზღვრავს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატსა და მერიაში სტაჟირების გავლის წესსა და პირობებს.
- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და მერიის მიზანია:

ა) აღნიშნული წესის საფუძველზე უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის, მათი პროფესიული ცოდნის გაღრმავებისათვის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სრულყოფისათვის საჭირო პირობების შექმნა;

ბ) დასაქმების თანაბარი პირობების შექმნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 აპრილის დადგენილება №33 - ვებგვერდი, 16.04.2018 წ.

მუხლი 2. წესში გამოყენებული ტერმინები

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სტაჟირება – ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ამ წესით გათვალისწინებული საქმიანობა, რომელიც არ ანაზღაურდება;



ბ) სტაჟიორი – პირი, რომელიც ამ წესის შესაბამისად გადის სტაჟირებას ლაგოდების მუნიციპალიტეტში;

გ) კანდიდატი – პირი, რომელიც ლაგოდების მუნიციპალიტეტში სტაჟირების გავლის შესახებ წარადგენს განცხადებას სსიპ- საჯარო სამსახურის ბიუროში, (შემდგომში ბიურო) ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით;

დ) უშუალო ხელმძღვანელი – ლაგოდების მუნიციპალიტეტში შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული პირი, რომელიც სტაჟირების მთელ პერიოდში ხელმძღვანელობს სტაჟიორის საქმიანობას.

მუხლი 3. სტაჟიორის სტატუსი

1. სტაჟიორად მიიღება უმაღლესი განათლების მქონე პირი ან უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტი შესაბამისი სპეციალობის მიხედვით.

2. კანდიდატი სტაჟირების გავლისათვის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ აუცილებელ მოთხოვნებს:

ა) იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე;

ბ) სრულყოფილად ფლობდეს საქართველოს სახელმწიფო ენას.

მუხლი 4. სტაჟიორის მიერ გასავლელი ეტაპები და საჭირო დოკუმენტაცია

1. სტაჟიორად პირი მიიღება შესაბამისი განცხადების საფუძველზე.

2. განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ წარედგინება ბიუროს ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით.

3. სტაჟიორობის კანდიდატისათვის პროგრამული რეგისტრაციის ვადა არ უნდა იყოს 10 დღეზე ნაკლები.

4. სტაჟირების ხანგრძლივობის ვადა განისაზღვრება ერთიდან ექვს თვემდე.

5. დარეგისტრირებული სტაჟიორობის კანდიდატები, რომლებიც ვერ განაწილდნენ საჯარო დაწესებულებებში ვაკანტური ადგილების შევსების გამო, ირიცხებიან რეზერვში და მომდევნო ნაკადის ფორმირებისას ავტომატურად გაივლიან სტაჟირებას ხელახალი რეგისტრაციის გარეშე.

6. სტაჟიორთა მიღება ხორციელდება ყოველწლიურად 2 ნაკადად:

ა) პირველი – შემოდგომის ნაკადი მიიღება სექტემბერში;

ბ) მეორე – გაზაფხულის ნაკადი მიიღება მარტში.

მუხლი 5. სტაჟიორის უფლებები და ვალდებულებები

1. სტაჟიორს უფლება აქვს, სტაჟირების ხელმძღვანელის თანხმობით:

ა) გაეცნოს შესაბამისი დაწესებულების სპეციფიკას და კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა საკითხზე გადაწყვეტილებების მომზადების პროცესში;

ბ) გაეცნოს სამსახურებრივ დოკუმენტაციას და ისარგებლოს სათანადო ინფორმაციით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში;

დ) სტაჟირების მიმდინარეობისას გამოვლენილი ხარვეზების შესახებ, დასაბუთებული წერილობითი ფორმით შეატყობინოს დაწესებულების ხელმძღვანელს;

ე) განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა უფლებები.



2. სტაჟიორი ვალდებულია:

ა) დადგენილ ვადებში შეასრულოს ყველა ის დავალება, რომელიც დაეკისრა სტაჟირების ხელმძღვანელის მიერ და რომელიც გამომდინარეობს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის სპეციფიკიდან;

ბ) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საიდუმლოების პრინციპი;

გ) დაიცვას საჯარო დაწესებულების შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის უფლება-მოვალეობები

1. ლაგოდების მუნიციპალიტეტი სტაჟიორს უქმნის სათანადო პირობებს პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად.

2. სტაჟიორს სტაჟირების პერიოდში დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ენიშნება სტაჟირების ხელმძღვანელი, რომელიც მას უწევს ზედამხედველობას, სამუშაო აღწერილობის ფარგლებში.

3. აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების შემთხვევაში, თვითმმართველობის შესაბამისი სამსახური უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შეთანხმებით განსაზღვრავს სტაჟიორის საჯარო დაწესებულებაში ყოფნის გრაფიკს.

4. დაწესებულება ვალდებულია წელიწადში ორჯერ ბიუროს მიაწოდოს სრული ინფორმაცია სტაჟირების თითოეული ნაკადის დასრულებისთანავე.

5. სტაჟიორის უშუალო ხელმძღვანელი ვალდებულია:

ა) პირადად აკონტროლოს სტაჟიორის საქმიანობა;

ბ) პერიოდულად მიაწოდოს სასწავლო თემატიკა, მისცეს დავალებები და უზრუნველყოს შესაბამისი ინფორმაციით;

გ) ხელი შეუწყოს სტაჟიორს მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში;

დ) სტაჟირების ხელმძღვანელი უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილებით მოითხოვოს სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტა.

მუხლი 7. სტაჟირების სხვა პირობები

1. სტაჟიორთა რაოდენობა თითოეულ ნაკადზე შეადგენს შესაბამისი საჯარო დაწესებულების შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე ფაქტობრივად დასაქმებულთა არანაკლებ 10 %-ს.

2. სტაჟირების შეწყვეტის საფუძველია:

ა) სტაჟიორის პირადი განცხადება;

ბ) სტაჟირების პერიოდში არასაკატიო მიზეზით 5 დღის განმავლობაში სტაჟირების ადგილზე გამოუცხადებლობა;

გ) დავალების არაერთგზის ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება, რაც დასტურდება სტაჟირების ხელმძღვანელის მიერ დასაბუთებული დასკვნით;

დ) სტაჟირების ვადის გასვლა (სტაჟირების დასრულება);

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

3. სტაჟირების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ლაგოდების მუნიციპალიტეტის შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი და ერთი კვირის ვადაში აცნობებს ბიუროს.

მუხლი 8. სტაჟირების დასრულება და სერტიფიკატის გადაცემა



1. სტაჟირების ვადის გასვლის შემდეგ საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

ა) სტაჟირების შედეგების დადებითი შეფასების შესახებ;

ბ) სტაჟირების შედეგების უარყოფითი შეფასების შესახებ.

2. სტაჟირების შედეგების დადებითად შეფასების შემთხვევაში საჯარო დაწესებულების მიერ გაცემა სტაჟირების წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომლის ფორმაც დამტკიცებულია ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

3. სერტიფიკატს ენიჭება ოთხციფრიანი ნომერი 0001 დან 9999-მდე, საკრებულოს შემთხვევაში ნომერს ემატება ინდექსი -ს, ხოლო მერიის შემთხვევაში – ინდექსი - მ.

4. დაწესებულების ხელმძღვანელი უზრუნველყოფს გაცემული სერტიფიკატების აღრიცხვას ზონარგაყრილ ჟურნალში (სერტიფიკატის ნომრის, მიმღები პირისა და გაცემის თარიღის მითითებით).

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 აპრილის დადგენილება №33 - ვებგვერდი, 16.04.2018 წ.

დანართი №2

ლაგოდების მუნიციპალიტეტი

სერტიფიკატი
ადასტურებს, რომ

სახელი, გვარი



წარმატებით გაიარა სტაჟირება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის

დაწესებულების დასახელება

სტაჟირების პერიოდი

რეგისტრაციის №

დაწესებულების ხელმძღვანელი:

